

განმარტებითი ბარათი

„ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

კანონპროექტი შედგენილია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით. კანონპროექტი შედგება 3 მუხლისაგან. თითოეული მუხლი განმარტავს ცვლილებებსა და დამატებებს ბუნებრივი რესურსების ცალკეული კატეგორიების მიხედვით. კანონპროექტით ხორციელდება:

ა) პროექტის პირველი მუხლის თანახმად რესურსის მოსაკრებელი გადაიხდება არა იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს ტყის ფონდის ზეზეული ხეების მერქნული რესურსების გარემოდან ამოღებას, ტყის ფონდიდან ამოღებულ ნებისმიერი სახის მერქნით რესურსზე.

ბ) მე-2 მუხლით გათვალისწინებული ცვლილებებით ხდება ბუნებრივი რესურსით სარგებლობის მოსაკრებლის შემოღება შემდეგ ბუნებრივ რესურსებზე: ნიკელი – 1 ტონა – 450 ლარი; კალა – 1 ტონა – 400 ლარი; ვერცხლისწყალი – 1 ტონა/1%-იანი შემცველობით – 0.14 ლარი დარიშხანი – 1 ტონა – 20 ლარი; გოგირდი - 1 ტონა - 2 ლარი; ბუნებრივი ცარცის ქვა – 1 ტონა – 0.1 ლარი; საფორმე ქვიშები – 1 მ³ - 0.3 ლარი; გრაფიტი – 1 ტონა – 8 ლარი; საყალიბე-საფლუსე თიხები – 1 ტონა – 0.3 ლარი; კერამიკული თიხები – 1 ტონა – 0.2 ლარი; კირქვა კირის წარმოებისათვის – 0.15 ლარი; საიუველირო ნახევრადვირფასი ქვები (აქვამარინი, ამეთვისტო, ქრიზოლითი, მთის ბროლი და სხვა) – 1კგ – 0.25 ლარი; საიუველირო – სანაკეთობო ქვები (აქატი, მალაქიტი, ნეფრიტი, სერდოლიტი, ქარვა, გიშერი, ლაზურიტი და სხვა) – 1კგ – 0.15 ლარი; იაშმა(იასპი) – 1 გრ. – 0.05 ლარი; საცემენტე ნედლეული (კირქვა, თიხამიწა, სპონგოლიტი) – 1 ტონა – 0.14 ლარი; მოსაპირკეთებელი და სახერხი ქვები (გრანიტი, სიენიტი, დიორიტი, გაბრო, – 1 მ³ – 1.0 ლარი; ტეშენიტი, ბაზალტი, ტუფი, მარმარილო); საღორღე ნედლეული – 1 მ³ – 0.4 ლარი; სხვა საშენი მასალები – 1 მ³ – 0.7 ლარი;

ამავე მუხლის თანახმად რესურსის მოსაკრებელი მცირდება

1. მინერალური წყლებზე, გარდა სამკურნალო კურორტებისათვის მიწოდებული წყლებისა – 10-6-4 ლარიდან 3 ლარამდე.

2. მიწისქვეშა თერმული წყლებზე – 1მ³ – 0.05 ლარი

3. მიწისქვეშა მტკნარი ჩამოსასხმელი წყლებზე – 4 ლარიდან 0.5 ლარამდე

ბ) პროექტის მესამე პუნქტის თანახმად ზემოთმოყვანილი დამატებებისა და ცვლილებების გამო გაუქმდება მე-5 მუხლის (მოსაკრებლის განაკვეთი) 1 პუნქტის (წილით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა) „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტები, სადაც მოცემულია სხვადასხვა მინერალური წყლებზე (ბორჯომი, ნაბეღლავი, საირმე, უწერა)

გ) პროექტის მე-4 პუნქტის თანახმად ტყის მერქნის სახეობათა III ჯგუფს ემატება ‘აკაციის’ სახეობა. ამავე ჯგუფიდან ამოღებული იქნა ჭადარისა და ჯაგრცხილას სახეობები და III ჯგუფის ნაცვლად ჩასმული იქნას V ჯგუფში (ტყის დანარჩენი მერქნიანი სახეობები)

დ) პროექტის მე-5 პუნქტის თანახმად უქმდება “ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის (მოსაკრებლის განაკვეთი) მე-3 პუნქტში არსებული არამერქნული

რესურსები და მათი პროდუქტებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი ვინაიდან „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აღნიშნული საქმიანობა არ ექვემდებარება ლიცენზირებას გარდა **თეთრყვავილას ბოლქვები** (*Galanthus Woronowii*); 1კგ. - 0.1 ლ; **ბ. ყოჩივარდას გორგლები** (*Cyclamen Vernum*); 1კგ. - 0.1 ლ. და **სოჭის გირჩი** - 1კგ - 0.50 ლარი, რომლებიც წარმოადგენენ სალიცენზიო საქმიანობას

ე) პროექტის თანახმად “ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის (მოსაკრებლის განაკვეთი) მე-5 პუნქტში (ცხოველთა სამყაროს რესურსებით (ობიექტებით) სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა) შევიდის შემდეგი სახის ცვლილებები: XXII ჯგუფში „ქაშაყის“ ნაცვლად იწერება “ქაშაპი”; ამავე ჯგუფში „ქარცხანას“ ნაცვლად იწერება “კარჩხანა”, ამავე პუნქტის XIII ჯგუფს ემატება სახეობა “სამარისი”, ასევე დაემატა XXIII ჯგუფი, რომელშიც შეყვანილ იქნა – “ზღვის კატა” 1 ტ – 30 ლარი; “ზღვის ენა” 1 ტ – 30 ლარი; “ზღვის მელა” 1 ტ – 30 ლარი; “ვარსკვლავთმრიცხველი” 1 ტ – 40 ლარი;

ვ) პროექტის მე-7 მუხლის თანახმად მე-6 მუხლში ემატება 1^ლ პუნქტი, რომლის თანახმად ლიცენზიის პირობით განსაზღვრული ცალკეული რესურსის მთლიანი მოცულობის მოსაკრებელის ჯამური ოდენობა შესაძლებელია გადახდილი იქნას წინასწარ (მთლიანად ან ნაწილობრივ) დისკონტირების კოეფიციენტის გათვალისწინებით.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

აღნიშნული კანონპროექტის მიღებით ხორციელდება “ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონის სათანადო დახვეწა. კომპეტენტური სამმართველოებისა და სახელმწიფო-საქვეუწყებო დაწესებულებების (წიაღით სარგებლობა - გეოლოგიის დეპარტამენტი, ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობა - სატყეო დეპარტამენტი, არამერქნული რესურსებითა და ცხოველთა სამყაროს რესურსებით სარგებლობა - ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური) მიერ გაკეთებულმა შენიშვნებმა და რეკომენდაციებმა შექმნა საფუძველი, რომელმაც დღის წესრიგში ზემოთაღნიშნული კანონის შემდგომი დახვეწის აუცილებლობა დააყენა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

პროექტის მიზანია სრულყოფილი და გაამარტივოს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლების გადახდის სისტემა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტის მიღება არ ართულებს სახელმწიფო ადმინისტრირების პროცესს (არ ითხოვს ახალი სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბებას ან არსებულის გაფართოებას) და არ არის დაკავშირებული სახელმწიფო ხარჯების ზრდასთან. პირიქით, კანონში აღნიშნული დამატებების შეტანით გათვალისწინებულია ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების გენერირება. კანონში დამატებული რესურსებით სარგებლობაზე მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა სხვადასხვა ქვეყნების (როგორც ევროპისა და ამერიკის, ისე პოსტ საბჭოთა ქვეყნების პრაქტიკა) გამოცდილება აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ცალკეულ უწყებებთან კონსულტაციის საფუძველზე, კანონპროექტის მიხედვით განხორციელდა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის ცალკეული მოსაკრებლების განაკვეთის ხელახალი განსაზღვრა.

ზოგადად თითქმის ყველა ევროპისა თუ ამერიკის განვითარებულ ქვეყანაში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი განსაზღვრება კანონით დადგენილი კონკრეტული პროცენტული მაჩვენებლის საბაზრო ფასზე გადაანგარიშების საფუძველზე - ე.წ. როიალტების სისტემა (ხშირ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსი ნავთობი, ოქრო). თუმცა საქართველოში მოცემულ ეტაპზე ანალოგიული სისტემის შემოღება მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული, გამომდინარე საკმაოდ რთული და კომპლექსური ადმინისტრირების საჭიროების გამო. მისაღებად იქნა მიჩნეული

არსებულ საბაზრო ფასებზე დაყრდნობით როიალტების მიხედვით ახალი, ფიქსირებული, ციფრობრივი ნორმების შემოღება, რომელიც თავის მხრივ ყველა სხვა ალტერნატივასთან შედარებით ჩვენს პირობებში ამცირებს კორუფციული თუ სხვა რაიმე სახის სუბიექტური გარიგების დადების შესაძლებლობებს. ასევე ფიქსირებული მოსაკრებლის დაწესება გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ბიზნესის პროგნოზირებადობას და ზოგადად გაზრდის სტიმულს ბაზარზე.

ჩვენს შემთხვევაში მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება მოხდა შემდეგი პრინციპით. მაგ. ნიკელის შემთხვევაში. შერჩეული იქნა ის ქვეყნები, რომელთაც გააჩნიათ კონკრეტული რესურსის (ჩვენს შემთხვევაში ნიკელის მადანი) დიდი მოცულობის მარაგები. ნიკელის შემთხვევაში ეს ქვეყნებია კანადა, ავსტრალია, რუსეთი, სამხრ. აფრიკა. აღნიშნულ ქვეყნებში ძირითადად მოქმედებს "როიალტის" პრინციპი, რაც თავის მხრივ გულისხმობს მოსაკრებლის (ზოგ შემთხვევაში გადასახადის) მოცულობის განსაზღვრას წინასწარ დადგენილი პროცენტული მაჩვენებლით არსებული საბაზრო ფასის მიხედვით. მაგალითად იმავე ნიკელის შემთხვევაში როიალტების პროცენტული მაჩვენებლები განსხვავებულია მოცემულ ქვეყნებში. ამიტომ გამოყვანილი იქნა საშუალო მაჩვენებელი, რომელმაც ნიკელზე 1.6 % შეადგინა. ამის შემდეგ დადგინდა ნიკელის საბაზრო ფასი LME (London Market Exchange)- ის მიხედვით (აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში ზემოთნახსენები ქვეყნები სწორედ LME - ის მონაცემებს იყენებენ და შემდეგ საზღვრავენ განსხვავებული ვადებით მოსაკრებლის ოდენობას რესურსზე). ნიკელზე 2006 წლის აპრილის მონაცემებით საბაზრო ფასმა შეადგინა ერთ ტონაზე \$ 15.725. შესაბამისად ნიკელზე მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრა 450 ლარის (\$251.6) ოდენობით. გაანგარიშების აღნიშნული პრინციპის მიხედვით განხორციელდა ყველა სხვა რესურსზე მოსაკრებლის განაკვეთის განსაზღვრა.

მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშებისას ასევე გათვალისწინებული იქნა ქვეყნის მასშტაბის მიხედვით კონკრეტული რესურსის მთლიანი მარაგები. ერთის მხრივ მოხდა მადანში ცალკეული კომპონენტების ხვედრითი წილისა და ამ კომპონენტების ღირებულებების გათვლა საბირჟო ფასების გამოყენებით. მაგალითად: ოქრო-სპილენძ-ბარიტის მადანი სახელმწიფო ფონდებში დაცული ანგარიშების შესაბამისად შეიცავს:

სპილენძს – მთლიანი მოცულობის 1.06 %-ს. 1 ტონა სპილენძის საბირჟო ფასი 2006 წლის დასაწყისისათვის შეადგენდა \$ 4481 შესაბამისად მადანში სპილენძის ღირებულებას პროცენტული შემადგენლობის მიხედვით ვღებულობთ \$ 47.50

ოქრო – 0.69 გრამი/ტონა * \$ 16 – \$ 11.04

ვერცხლი – 2.6 გრამი/ტონა **\$ 0.44** - **\$ 1.14**

გოგირდი – 6.88 % **\$ 14.73** - **\$ 1.01 (2 ლარი)**

სელენი – 6.13 გრამი/ტონა **\$ 10.03** - **\$ 61.50**

ტელური – 6.93 გრამი/ტონა **\$ 1.74** - **\$ 12**

მოცემულ შემთხვევაში მოსაკრებლების ოდენობა ჯდება 3%-დან 45%-მდე ჭრილში.

რამაც საბოლოოდ საშუალება მოგვცა გაგვეანგარიშებინა მოსაკრებლის ყველა ოპტიმალური ოდენობა. აღნიშნული პრინციპით განხორციელდა ყველა სხვა დანარჩენ დამატებულ სახეობებზე მოსაკრებლის განაკვეთის გათვლა.

ცალსახად მიუღებლად იქნა მიჩნეული მინერალურ წყლებზე მოსაკრებლის დიფერენცირებული მოცულობების არსებობა. აღსანიშნავია, რომ მსგავს პრეცედენტს მსოფლიო პრაქტიკაში ანალოგი არ გააჩნია. მოქმედ კანონში სხვადასხვა მინერალურ წყლებზე განსხვავებული მოსაკრებლები განსაზღვრული იყო ბრენდების მიხედვით (ბორჯომი - 10 ლარი, ნაბეღლავი - 6 ლარი, საირმე – 6 ლარი, უწერა - 4 ლარი, სხვა დანარჩენი – 3 ლარი), რაც ეკონომიკური თვალსაზრისით ყოველად მიუღებელია. ყველა მინერალური წყლების მომპოვებელ ქვეყანაში (მათ შორის ბალტიისპირეთის ქვეყნებში, საფრანგეთში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ყირგიზეთსა და ა.შ) აღნიშნული რესურსით სარგებლობაზე დაწესებულია მოსაკრებლის ერთი

ოდენობა და ადგილი არ აქვს დიფერენცირებას. ძირითად მომპოვებელ ქვეყნებში როიალტების მიხედვით გაკეთებული გათვლებისა და ცალკეული ფიქსირებული მოსაკრებლების მიხედვით მინერალურ წყალზე დაწესებული მოსაკრებლის განაკვეთად შერჩეული იქნა 3 ლარი. აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით წესდება ყველა სახის მინერალური წყლის მოპოვებაზე ახალი ციფრობრივი ნორმა 3 ლარი.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

აღნიშნული კანონპროექტის მიღებით იგულისხმება ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების გენერირება, რაც პირველ რიგში განპირობებული იქნება კანონში რესურსების ახალი სახეობების შეტანით (ამ შემთხვევაში იგულისხმება როგორც ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლები, ასევე დამატებული სახეობებით სარგებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად გადახდილი სააუქციონე ფასები). დამატებული იქნა რესურსების ახალი სახეობების 37 ერთეული.

უმეტეს შემთხვევაში მოსაკრებლის განაკვეთი განისაზღვრა მინიმალური ოდენობით (ხოლო ცალკეულ რესურსებზე (მინერალური წყლები, მიწისქვეშა მტკნარი წყლები) მნიშვნელოვანწილად შემცირდა, თუმცა მიუხედავად ცალკეულ მინერალურ წყლებზე (ბორჯომი, ნაბეღლავი, საირმე) მოსაკრებლის ოდენობის საგრძნობი შემცირებისა (მაგ. ბორჯომზე მოსაკრებლის ოდენობა 10 ლარიდან 3 ლარამდე), გრძელვადიან პერიოდში სხვა მრავალ თანამდევ სიკეთესთან ერთად, მნიშვნელოვანი ფისკალური ეფექტი არის სავარაუდო.

მაგალითად აღებული იქნა ბორჯომის მინერალური წყლის მოპოვების შემთხვევა, რადგან ყველაზე დიდ ცვლილებას მოსაკრებლის განაკვეთებს შორის სწორედ ბორჯომის შემთხვევაში ჰქონდა ადგილი (10-დან შემცირდა 3 ლარამდე). დღეისათვის ბორჯომის მინერალური წყლის მოპოვების დებეტის დღიური ნორმა განსაზღვრულია 520 მ³-ით, თუმცა მოქმედი ლიცენზიის პირობების მიხედვით იხდიან არა სრული დებეტის შესაბამისად (520 მ³ არამედ მხოლოდ 320 მ³-ის ნორმის მიხედვით. ასევე კვირაში 7 დღის ნაცვლად 5 სამუშაო დღე. ახალი კანონმდებლობის მიხედვით მოსაკრებლები გადაიხდება სრული დებეტის შესაბამისად (520 მ³/დღეში) ასევე მოხდება გაანგარიშება სრულად, წელიწადში 365 დღის მიხედვით.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მინერალური წყლით სარგებლობაზე მოსაკრებლის წლიური ოდენობა განისაზღვრება $320 \times 240 \times 10 = 768.000$ ლარი ხოლო კანონპროექტის მიხედვით აღნიშნული ოდენობა იქნება $520 \times 365 \times 3 = 569.400$ ლარი. სხვაობა შეადგენს 198.600 ლარს.

აღნიშნული სხვაობა დაიფარება ბორჯომზე სარგებლობის ლიცენზიის აუქციონის წესით გაცემის შედეგად. საქართველოს კანონის ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, აუქციონის წესით კონკრეტული სარგებლობის ლიცენზიის გაცემა ხორციელდება ყველაზე მაღალი ფასის წარმოდგენის საფუძველზე. სწორედ სააუქციონე ფასის წარმოდგენისას არის სავარაუდო ფასების დიფერენცირება, კერძოდ ბორჯომზე, რომელიც შედარებით ცნობადი ბრენდის მატარებელია, სავარაუდოა სხვებთან შედარებით გაცილებით მაღალი სააუქციონე ფასის გადახდა ანუ ბრენდის ღირებულება დაიფარება გადახდილი სააუქციონე ფასით. აღნიშნული თანხა თავის მხრივ არამხოლოდ დაფარავს მოცემულ სხვაობას, არამედ გარკვეულწილად გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს და შესაბამისად გარკვეული მასშტაბის ფისკალური ეფექტი იქნება სახეზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

უმეტეს შემთხვევაში, მოსაკრებლების ოდენობა განისაზღვრა მინიმალური ოდენობით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში მიზნად ისახავს ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის ხელშეწყობას, ცალკეული სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებასა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების გარკვეულ შემცირებას. ახალი ციფრობრივი ნორმების დაწესება ერთის მხრივ მიზნად ისახავს კონკრეტული ბუნებრივი რესურსის მოპოვებით, შეგროვებითა და ყიდვა-გაყიდვით დაკავებულ პირებს შორის კონკურენციის ზრდას (მოსაკრებლის მცირე ოდენობა გარკვეულწილად გაზრდის აღნიშნული საქმიანობის მიმართ ინტერესს, რაც საბოლოოდ განაპირობებს მოტივაციის ზრდას და ახალი პირების შემოსვლას კონკრეტულ ბაზარზე, რაც საბოლოოდ ბაზრის ზომების ზრდას უზრუნველყოფს).

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით დგინდება ახალი მოსაკრებლის სახეები ამასთან რიგ შემთხვევაში მცირდება არსებული მოსაკრებლების ოდენობა და ხდება მოსაკრებლების ფიქსირებულ ოდენობაზე გადასვლა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.